

არნოლდ  
ჩიქობავა

ბიობიბლიოგრაფია



«ქეცნიქეპა» 1979

Арнольд  
Чикобава

Библиография



Издательство «Мецниереба»  
Тбилиси

არნოლდ  
ჩიქობავა

ბიობიბლიოგრაფია



გამომცემლობა «მეცნიერება»  
თბილისი

აკად. არნ. ჩიქობავას ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1923—1977 წლების მასალას: სამეცნიერო შრომებს, რეცენზიებს და გამომხატვრებს ამ შრომებზე, არნ. ჩიქობავას რედაქციით გამოცემულ შრომებს, ლიტერატურას არნ. ჩიქობავას შესახებ და გამოქვეყნებულ მასალებს, რომლებიც შეეხება მეცნიერის ბიოგრაფიას.

ბიობიბლიოგრაფიაში მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურად. ნაკვეთს წინ უძღვის არნ. ჩიქობავას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე ნარკვევი, ერთვის შრომების ანბანური და სახელთა საძიებლები.

Биобиблиография академика А. С. Чикобава содержит материал, охватывающий 1923—1977 гг. — научные труды с указанием отзывов и рецензий на них, труды, изданные под редакцией А. С. Чикобава и литературу о нем.

В биобиблиографии материал расположен в хронологическом порядке. Выпуску предпослан краткий очерк научной и общественной деятельности А. С. Чикобава, прилагаются алфавитный указатель трудов и именной указатель.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: შ. ძიციშვილი (მთ. რედაქტორი), ლ. გაბუნია, თ. დავითაია, მ. დარასელია, ვ. კუპრაძე, ვ. მახალდიანი, ვ. ოკუჯავა, ა. ფრანგიშვილი, გ. ციციშვილი, ს. ხადური (მდივანი).

შემდგენლები: მ. ბარკავა, ქ. გვერდწითელი რედაქტორები ს. ხადური, თ. შარაძენიძე  
ბიბლიოგრაფიული რედაქცია ბ. ნაკაშიძისა

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: Ш. В. Дзидзигури (гл. редактор), Л. К. Габуния, Ф. Ф. Давитая, М. К. Дараселия, В. Д. Купрадзе, В. В. Махалдiani, В. М. Окуджава, А. С. Прангишвили, Г. В. Цицишвили, С. А. Хадური (секретарь).

Составители: М. И. Баркава, К. А. Гвердцители  
Редакторы: С. А. Хадური, Т. С. Шаралзендзе  
Библиографический редактор: Т. Е. Накашидзе.



## არნოლდ ჩიქობავა

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა იმ სახელოვან მეცნიერთა რიგებს მიეკუთვნება, რომლებმაც თავიანთი გამოკვლევებითა და მოღვაწეობით დიდი ავტორიტეტი შეუქმნეს ქართულ მეცნიერებას როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ფართოა არნ. ჩიქობავას მეცნიერული და საზოგადოებრივი ინტერესები. იგი იკვლევს ქართულ ენას, ქართველურ ენებს, მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს, ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემებს. ეწევა ინტენსიურ პედაგოგიურ-აღმზრდელი მუშაობას. ხელმძღვანელობს მის მიერ დაფუძნებულ თბილისის კავკასიოლოგიურ სკოლას. ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელია ენათმეცნიერებაში და მომიჯნავე ჰუმანიტარულ დისციპლინებში ბევრი მნიშვნელოვანი წამოწყებისა.

არნ. ჩიქობავას მოღვაწეობის მასშტაბებზე წარმოდგენას გვაძლევს თუნდაც 1977 წ. შესრულებული მსხვილი სამუშაოების ჩამოთვლა. მან დაამთავრა კაპიტალური შრომა „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი“. ერთ-ერთი ძირითადი მოხსენება წაიკითხა საკავშირო სიმპოზიუმზე, რომელიც საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის სამეცნიერო საბჭომ სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტებთან ერთად ჩაატარა თანამედროვე ენათმეცნიერებაში მნიშვნელობის პრობლემის შესახებ. სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მისმა მოხსენებამ და გამოსვლებმა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების VII რეგიონალურ სესიაზე ქ. სოხუმში. როგორც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, არნ. ჩი-

ქობავა დიდ ენერგიას ახმარს რეგიონალური სესიების მომზადებასა და სათანადო მეცნიერულ დონეზე ჩატარებას. კიდევ უფრო მეტ დროსა და ყურადღებას მოითხოვს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკავშირო ორგანოს — „წელიწდეულის“ მთავარი რედაქტორობა. 1978 წელს გამოვიდა „წელიწდეულის“ V ტომი, წარმოებას გადაეცა VI ტ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითად საკითხებზე არნ. ჩიქობავამ მოხსენებები გააკეთა ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე... ეჭვი არაა, იგი უახლოეს მომავალშიც არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევით გაამდიდრებს იბერიულ-კავკასიური და ზოგადი ენათმეცნიერების საგანძურს.

არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავა დაიბადა 1898 წ. ცხაკაას რაიონის (მაშინდელი სენაკის მაზრის) სოფ. საჩიქობაოში ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება ძველი სენაკის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო. 1911 წ. ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ჩაირიცხა. ხელმოკლეობის გამო 14 წლიდან მოყოლებული იძულებული იყო ჩამორჩენილი მოწაფეები ემეცადინებინა და ამ გზით ეშოვა სწავლის გადასახადი და საარსებო სახსარი. როცა მოწაფეებთან მეცადინეობას დაამთავრებდა, მხოლოდ ამის შემდეგ იცლიდა საკუთარი გაკვეთილებისათვის. მაინც დიდი წარმატებით დაამთავრა გიმნაზია 1917 წ.

როდესაც 1918 წ. დიდი ქართველი მეცნიერისა და კულტურის მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ენათმეცნიერების დარგზე სულ ოთხი მსმენელი ჩაირიცხა. ამათგან 1922 წ. უნივერსიტეტი დაამთავრა ორმა, შემდგომში სახელმწიფო ენათმეცნიერებმა არნ. ჩიქობავამ და ვ. თოფურიამ. ეს იყო უნივერსიტეტის პირველი გამოშვება.

უნივერსიტეტში არნ. ჩიქობავა გატაცებით დაეწაფა საენათმეცნიერო დისციპლინებს — ქართულს, სევანურს, მეგრულ-ჭანურს, ზოგად ენათმეცნიერებას. მისი მასწავლებლები იყვნენ პროფესორები ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი. იმავე დროს სისტემატურად და სერიოზულად მუშაობდა მომიჯნავე დარგებშიაც: საქართველოს ისტორიას უსმენდა პროფ. ი. ჯავახიშვილს, ქართული შწერლობის ისტორიას — პროფ. კ. კეკელიძეს. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიისადმი. სათანადო კურსებს მას უკითხავდნენ პროფ. შ. ნუცუბიძე და პროფ. დ. უზნაძე.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე არნ. ჩიქობავა პროფ. ა. შანიძის წარდგენით დატოვებულ იქნა პროფესორად მოსამზადებლად. თბილისის უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში მხოლოდ ერთ — დოქტორის სამეცნიერო ხარისხს იცავდნენ. არნ. ჩიქობავამ პირველმა თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია 1929 წ. იგი საჯარო პაექრობაზე წარდგა ნაშრომით „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, რომელიც 1928 წ. გამოქვეყნდა. ეს ნაშრომი ბრწყინვალე დადასტურება იყო იმისა, რომ თბილისის ახლადდაარსებულ უნივერსიტეტს შესწევს ძალა აღზარდოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ მეცნიერების განვითარებაში.

„მარტივი წინადადების პრობლემა“ ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია ავტორის ზოგადი კონცეფცია არა მხოლოდ სინტაქსის, არამედ საერთოდ ენის აღწერის პრინციპულ საკითხებზე. არნ. ჩიქობავა მეთოდოლოგიურ იმანენტისმს იცავს. იგი მოითხოვს ენობრივი მოვლენები დახასიათდეს ენობრივი ნიშნებით და ენის ანალიზის დროს არ იქნეს გამოყენებული ლოგიკური ან ფსიქოლოგიური თვალსაზრისი, როგორც ეს ტრანსცენდენტისმთან გვაქვს. ტრანსცენდენტისმს მივყავართ ენათმეცნიერებაში ლოგიციზმისა და ფსიქოლოგიზმისაკენ, რაც ემუქრება ენათმეცნიერების დამოუკიდებლობას, ქმნის მისი, როგორც თავისთავადი მეცნიერების, გაუქმების საფრთხეს. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენის სტრუქტურისა და მნიშვნელობის შესახებ მსჯელობას. ავტორი საჭიროდ მიიჩნევს ორივეს შესწავლას. ამასთან იგი თვლის, რომ აღწერითი ენათმეცნიერების უპირველესი ამოცანაა სტრუქტურის საკითხის გადაწყვეტა, ვინაიდან ენები ერთმანეთისაგან პირველ რიგში და ძირითადად სწორედ სტრუქტურით განსხვავდებიან. ნაშრომში დასმულია აღწერითი და ისტორიული ენათმეცნიერების ურთიერთობის საკითხიც. აღწერას უნდა მოჰყვეს ახსნა. ახსნა კი ენობრივი მოვლენის ისტორიის გათვალისწინებას მოითხოვს.

ყველა ჩამოთვლილი საკითხი თანამედროვე ენათმეცნიერების უაღრესად აქტუალური პრობლემაა. არნ. ჩიქობავამ ეს პრობლემები დასვა და ორიგინალურად გადაწყვიტა უფრო ადრე, ვიდრე დასავლეთის ენათმეცნიერების ბევრმა დღეს სახელგანთქმულმა სკოლამ.

„მარტივი წინადადების პრობლემის“ მეორე ნაწილი ქართული ენის სინტაქსისადრე მიძღვნილი. აქ ამოსავალი დებულებაა, რომ ყოველი ენის სტრუქტურა მის თავისებურებათა გათვალისწინებით

უნდა შესწავლებოდეს. ქართული ენის აგებულებას კი ბევრი რამ განასხვავებს ინდოევროპულ ენათა აგებულებსაგან. ამიტომ ქართული ენის გრამატიკაში მექანიკურად ვერ გადმოვიტანთ იმ ცნებებს, რომლებიც ინდოევროპულ ენათა შესწავლასას გამოიყენებოდა. კერძოდ, სინტაგმის წევრებს შორის ურთიერთობა ზმნის მრავალპირიანობის გამო ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ინდოევროპულ ენებში; ადგილი აქვს არა ცალმხრივ მართვასა და შეთანხმებას, როგორც ეს ინდოევროპულშია, არამედ საურთიერთო მართვას. მკვლევარი იძლევა ქართული ენის მარტივი წინადადების საყურადღებო და ახლებურ ანალიზს, რისთვისაც მას უხდება სინტაქსურ ცნებათა ახალი სისტემის (კოორდინაცია, ძირითადი, დიდი, მცირე, უმცირესი კოორდინატები) შექმნა.

“მარტივი წინადადების პრობლემა“ მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და სპეციალისტებისთვისაც კი ხელმიუწვდომელი გახდა. 1968 წ. გამოქვეყნდა მისი მეორე გამოცემა. პირველი გამოცემიდან ორმოცი წლის შემდეგ ნაშრომს არა თუ არ დაუკარგავს მნიშვნელობა, არამედ დღეს უკეთესი პირობები შეიქმნა მისი ჯეროვნად შეფასებისათვის. საერთაშორისო ენათმეცნიერებაში გამოვლენილი ტენდენციების ფონზე მისი აქტუალურობა გაიზარდა, მისი ღირსებები უფრო ხელშესახები გახდა.

არნ. ჩიქობავას ყოველი ნაბიჯი მეცნიერებაში დაკავშირებულია თბილისის უნივერსიტეტთან და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, რომლის პირველ შემადგენლობაშიაც ის დაამტკიცეს 1941 წ. საქართველოში ახლადფეხადგმულ სამეცნიერო დაწესებულებებში თავისი დიდი ტალანტის, ფართო ერუდიციის, და უცხორომელი ენერჯიისა და უსაზღვრო შრომისმოყვარეობის წყალობით მან შეძლო ასულიყო თანამედროვე მეცნიერების უმაღლეს საფეხურებზე. მისი გამოკვლევები გასცდნენ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და გზა გაიკაფეს ჯერ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებისაკენ, შემდეგ კი უფრო შორსაც. ამ გამოკვლევებმა გაუთქვეს საქვეყნოდ სახელი მათ ავტორს.

ქართულმა უნივერსიტეტმა აღზარდა არნ. ჩიქობავა როგორც მკვლევარი. ამჟამად ის თვითონ ამშვენებს თავის alma mater-ს და მსოფლიოში აღიარებულ იმ მეცნიერთა პლეადაში შედის, რომლებითაც ამაყობს ჩვენი ქვეყანა.

არნ. ჩიქობავა ავტორია 300-ზე მეტი დაბეჭდილი მეცნიერული შრომისა, რომელთაგან 14 ცალკე წიგნად განოვიდა. ბევრი მისი ნაშრომი გამოქვეყნებულია რუსულად, აგრეთვე ევროპულ ენებზე.

არნ. ჩიქობავას მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები: სამი ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, საპატიო ნიშნის ორდენი, მედლები, სიგელები. 1951—1966 წწ. იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III, IV, V, VI მოწვევათა დეპუტატად. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ, დაღესტნის ასსრ და ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მეცნაურების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1951 წ. მას მიენიჭა მოსკოვის უნივერსიტეტის სახელობის პრემია, 1971 წ. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია, 1973 წ. დაჯილდოვდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლით. 1960 წ. მიენიჭა ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის სამეცნიერო წოდება, ხოლო 1968 წ. არჩეულ იქნა ბრიტანეთის ფილოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრად.

არნ. ჩიქობავას მეცნიერული ძიება იმთავითვე ორი ძირითადი მიმართულებით წარმოებდა. ერთი მხრივ, იგი შეისწავლიდა და აანალიზებდა კონკრეტულ ენებს, ხოლო, მეორე მხრივ, ამუშავებდა ზოგადენათმეცნიერულ პრობლემათიკას.

მისი კვლევა ქართული ენით დაიწყო და დღემდე ქართული ენა რჩება მეცნიერის ყურადღების ცენტრში. მან არაერთი გამოკვლევა უძღვნა ძველსა და ახალ ქართულ ენას, მისი მორფოლოგიის, სინტაქსის, სემასიოლოგია-ლექსიკოლოგიის, ფონეტიკის ძირითად საკითხებს, რომლებიც შესწავლილია როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ კრილში.

თანამედროვე ქართული ენის სანიმუშო აღწერა არის მოცემული რამდენიმე ნაშრომში, რომლებიც გამოქვეყნდა ქართულად და რუსულად.

ძველი ქართულის მარტივი წინადადების აღწერას მოჰყვა ევოლუციის იმ ტენდენციათა შესწავლა, რომლებმაც შემდგომ პერიოდში იჩინა თავი. არსებითი მნიშვნელობა აქვს გამოკვლევათა სერიას. ქართული ენის უღვლილებისა და ბრუნების ისტორიის შესახებ. საყურადღებო შედეგებია მოპოვებული ქართული ენის ფერეიდნული, მთიულური, გარეკახური კილოების შესწავლისას.

გამოკვლევაში „ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები ძველი ქართულის ძეგლთა ჩვენებაში“ (1966) ქართული ენის მასალაზე დამყარებით მოცემულია ისტორიული დიალექტოლოგიის ამოსავალი პრინციპები და ამოცანები.

არნ. ჩიქობავამ რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა დიდი შოთას უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“.

ქართულის გარდა მეცნიერი იკვლევს ქართულის უახლოეს მო-  
წათესავე ენებს — მეგრულ-ჭანურს ანუ ზანურს და სვანურს, რომ-  
ლებიც ქართულთან ერთად ქართველურ ენათა ჯგუფს შეადგენენ.  
არნ. ჩიქობავამ თავისი გამოკვლევებით მნიშვნელოვნად წასწია წინ  
და გააღრმავა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავ-  
ლა.

მონოგრაფიაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტები-  
თურთ“ (1936) მან დაასაბუთა, რომ მეგრული და ჭანური ორი და-  
მოუკიდებელი ენა კი არ არის, როგორც მანამდე ფიქრობდნენ, არა-  
მედ ერთი ენის ორი დიალექტია. მათი ფონეტიკური სისტემა, მორ-  
ფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურა არ უპირისპირდება ერთ-  
მანეთს, ამასთან ორივე ერთსა და იმავე შესატყვისობებს ავლენს  
ქართულთან. იმ ენას, რომლის დიალექტებიცაა მეგრული და ჭანუ-  
რი, ავტორმა პირობით ზანური უწოდა.

„ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, რომე-  
ლიც 1938 წ. გამოქვეყნდა, ქართველურ ენათა პირველ შედარებითს  
ლექსიკონს წარმოადგენს. ქართველოლოგთა ამ სამაგიდო წიგნში  
ჭანურ-მეგრულ-ქართულთან ერთად გათვალისწინებულია სვანური  
ენის ლექსიკაც.

არნ. ჩიქობავას ქართველოლოგიური შტუდიები მოიცავს სახე-  
ლის ბრუნების ტიპებს, ბრუნვის ნიშანთა გენეზისს, მრავლობითი  
რიცხვის მაწარმოებლებს, ზმნის უღვლილების სისტემას, პირის ნიშ-  
ნებს, გარდამავლობას, გვარს, დროთა წარმოებას, სიტყვათა ეტიმო-  
ლოგიებს და ამ ენათა გრამატიკისა და ლექსიკის სხვა მნიშვნელოვან  
საკითხებს.

ქართველურ ენათა სტრუქტურის ისტორიული შესწავლის  
თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მონოგრაფიას  
„სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (1942),  
რომელშიაც ავტორმა ქართველურ ენათა სახელის ფუძის თავდა-  
პირველი მოდელი აღადგინა. მან ნათელყო, რომ ამ ენებში სახელის  
ფუძე შედგებოდა გრამატიკული კლასის აღმნიშვნელი პრეფიქსისა-  
გან, ძირეული თანხმოვნისა და ფუძის დეტერმინანტი სუფიქსისაგან.  
მას შემდეგ, რაც გრამატიკული კლასის კატეგორია მოიშალა, სათა-  
ნადო აფიქსები უკვალოდ არ გამქრალა, ზოგ შემთხვევაში მათ ჩვე-  
ნამდე მოაღწიეს შეცვლილი ფუნქციით ან ფუძესთან შეხორცებუ-  
ლი სახით.

მრავალ შრომაში არნ. ჩიქობავამ შეაჯამა ქართველურ ენათა ისტორიულ-მედარებითი კვლევის შედეგები და მოახდინა ამ ენების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური და ისტორიულ-გენეზისური მოდელის რეკონსტრუქცია.

არნ. ჩიქობავა არ დაკმაყოფილებულა ქართულისა და სხვა ქართველურ ენათა კვლევით. თვით ამ ენათა ღრმა მეცნიერული ანალიზი მოითხოვდა მათი ფარგლებიდან გასვლას, მათ შესწავლას მონათესავე ენათა უფრო ფართო კონტექსტში. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ენებს ენათესავენ ქართული და ქართველური ენები, კარგა ხანია დაისვა მეცნიერებაში. მ. ბროსე და ფრ. ბოპი ამ ენებს ინდოევროპულ ენებს უკავშირებდნენ, მაქს მიულერი ურალურ-ალათაურ ენებს, ნ. მარი (ადრინდელ პერიოდში) — სემიტურ ენებს. ყველა ეს შეხედულება უსაფუძვლო აღმოჩნდა.

ამათ გვერდით ფრ. მიულერმა 1864 წ. გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართველური და მთის კავკასიური ენები (კერძოდ, აფხაზურ-ადიღური, ჩაჩურ-ინგუშური (ნახური) და დაღესტნის ენები) ქმნიან მონათესავე ენათა ერთ ოჯახს (ამ ოჯახს შემდეგში იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი ეწოდა). ამასთან, ისინი წარმოადგენენ ნაშთებს ოდესღაც უფრო ფართოდ გავრცელებული ენათა წრისას, რომელსაც ეკუთვნოდა წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის უძველესი კულტურის ხალხთა ენები, აგრეთვე ცოცხალ ენათაგან ბასკური. ეს ენათა დიდი ოჯახი ოდესღაც გავრცელებული ყოფილა კავკასიაში და მის სამხრეთით ჯერ კიდევ მანამ, სანამ აქ ინდოევროპული, სემიტური და ურალურ-ალათაური ენები გაჩნდებოდნენ. არაერთი უცხოელი და რუსი ენათმეცნიერი მივიდა იმ აზრამდე, რომ კავკასიის მკვიდრთა ენები გენეზისურად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ კავკასიური ენები უფრო შორეულად ენათესაებიან, ერთი მხრივ, ბასკურს, ხოლო, მეორე მხრივ, წინა აზიისა და შუამდინარეთის ამჟამად მეკდარ ენებს, რომლებიც არ არიან არც ინდოევროპულს, არც სემიტურის მონათესავე.

ეს იყო მეცნიერული ჰიპოთეზა. ვის უნდა ეზრუნა მის დასაბუთებაზე, თუ არ ქართველ მეცნიერებს? ივ. ჯავახიშვილი, რომელსაც მშვენივრად ესმოდა ამ პრობლემის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და თვითონვე იკვლევდა მას, ერთ-ერთ შრომაში წერდა: „ცნობილია, რომ მსოფლიო მეცნიერება უაღრესად დაინტერესებულია ქართველური და კავკასიური ენების ბუნებითა და მათი სხვა ენებთან, მათ შორის ხალღურ, ხეთურ და სუმერულთანაც ნათესაობის საკითხებით... ამაზე უკვე მრავალი გამოკვლევაა გამოქვეყნე-

ბული, უმთავრესად უცხოეთში... სრულებით ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული საკითხებით... ქართველი მეცნიერებიც იყვნენ დაინტერესებულნი, მეტის თქმაც შეიძლება: ამ პრობლემების მეცნიერული შესწავლა ჩვენს უპირველეს მოვალეობასაც კი უნდა შეადგენდეს, რადგან ეს ენათმეცნიერული საკითხები უშუალოდ ჩვენვე გვეხება, ხოლო კულტურული ისტორიის ზემოაღნიშნული ამოცანების გადასაჭრელადაც პირველხარისხოვანი მასალები ჩვენში უხვად ნოიპოვება და შედარებით მისაწვდომიც არის. რამდენადაც ყოველი ქვეყანა ვალდებულია მსოფლიო მეცნიერების საგანძურში თავისი წვლილი შეიტანოს, იმდენად ქართული მეცნიერებაც და ცალკეული მეცნიერებიც მოვალენი არიან ამ პრობლემების შესწავლას უდიდესი ყურადღება მიაქციონ, მით უმეტეს, რომ ეს ამასთანავე ჩვენი ხალხის წარსული კულტურის ახალ-ახალ ცოდნას შეგვძენს და ძველს გაგვიღრმავებს“.

არნ. ჩიქობავამ თავს იღო ამ ენათმეცნიერულ პრობლემათა კვლევა, საჭირო იყო იმ ენათა საფუძვლიანი შესწავლა, რომლებიც ქართველურ ენათა მონათესავედ ივარაუდებოდნენ. მთის კავკასიურ ენათა რაოდენობა სამ ათეულს აღემატება. აუცილებელი იყო ამ ენათა სპეციალისტების მომზადება. არნ. ჩიქობავას თაოსნობითა და ხელმძღვანელობით 1933 წ. დაარსდა კავკასიურ ენათა კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 1936 წ. მთის კავკასიურ ენათა განყოფილება ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (რომლისაგანაც შემდეგ 1941 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი გამოიყო). 1933—1934 სასწავლო წელს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა განყოფილება, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა სპეციალისტებს ამზადებს.

როგორც კათედრაზე, ისე განყოფილებაში იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლა ერთიანი გეგმით მიმდინარეობდა. პირველი რიგის ამოცანად დაისახა ცალკეულ კავკასიურ ენათა სისტემების მეცნიერული აღწერა. მეორე საფეხურზე უნდა გაშლილიყო თითოეულ ჯგუფში შემავალ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა, მესამეზე კი — სხვადასხვა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემატური შედარება.

დღეისათვის გამოქვეყნებულია რამდენიმე ასეული შრომა (მათ შორის ათეულობით მონოგრაფია) იბერიულ-კავკასიურ ენათა ფო-

ნეტიკური სისტემების, გრამატიკული წყობის, ლექსიკის საკითხებზე. არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა ცალკეულ ჯგუფებში შემავალი ენების ურთიერთმიმართებათა შესწავლას, ამ ენათა შორის ფონეტიკურ შესატყვისობათა დადგენას. გამოვლენილია ცალკეული ბგერათ-შესატყვისობანი ან მატერიალური დამთხვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფებში, ზოგჯერ კი ჯგუფებს შორისაც. შემზადდა ნიადაგი ცალკეული ჯგუფების იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკებისა და ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონების შედგენისათვის.

ეს დიდი სამუშაო შეასრულეს არნ. ჩიქობავამ და მისი ხელმძღვანელობით აღზრდილმა სპეციალისტებმა. თავისი ფუძემდებელი შრომებით არნ. ჩიქობავამ მეცნიერების თანამედროვე დონეზე აიყვანა იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა და ვზა გაუკაფა სპეციალისტთა მომდევნო თაობებს წარმატებით ემუშავათ ამ სფეროში. არნ. ჩიქობავა იკვლევს იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურის, ისტორიისა და გენეზისური ურთიერთობის საკითხებს. წლების განმავლობაში მისი ყურადღების ცენტრშია ერგატიული კონსტრუქცია, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა დამახასიათებელ მეტად თავისებურ სინტაქსურ კონსტრუქციას წარმოადგენს და შინაგანად უკავშირდება ამ ენების მორფოლოგიური სტრუქტურის სპეციფიკას. ამ პრობლემას მეცნიერმა რამდენიმე გამოკვლევა და ორი მონოგრაფია უძღვნა. არანაკლებ ინტერესს იწვევს გრამატიკული კლასები, რომლებიც გამსჭვალავს მეტწილ იბერიულ-კავკასიურ ენათა მთელ მორფოლოგიას. ზოგ ენაში, მათ შორის ქართველურ ენებშიაც, კლასის კატეგორია ამჟამად არ მოგვეპოვება, მაგრამ გაირკვა, რომ წარსულში ამ ენებსაც ჰქონიათ იგი. ერგატიული კონსტრუქციისა და გრამატიკული კლასების ისტორიის გათვალისწინებამ შესაძლებლობა მისცა მკვლევარს გაეშუქებინა იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნის უღვლილებისა და სახელის ბრუნების საკვანძო საკითხები.

რამდენსამე ნაშრომში, რომლებიც ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნდა, განზოგადებულია იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის სფეროში მოპოვებული შედეგები.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ღრმა მეცნიერულმა შესწავლამ სულ უფრო და უფრო ნათლად წარმოაჩინა ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა ნათესაობა. ამკარაა, რომ ამ ენებს შორის ამჟამად არსებული განსხვავებები მეორეულია და რაც უფრო შორს შევდივართ ისტორიის სიღრმეში, მით მეტი საერთო ვლინდება როგორც

მათ სტრუქტურაში და ბგერითს შედგენილობაში, ისე, რაც მთავარია, ფორმანტებსა და ფუძეებში. ამით პრინციპულად დადგებითად წყდება იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხი.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევა ამზადებს წინადაგს ამ ენათა წინა აზიისა და შუამდინარეების ძველი ცივილიზაციის მკვლარ ენებთან, აგრეთვე ცოცხალ ბასკურ ენასთან გენეზისური ურთიერთობის გადასაწყვეტად.

იმ დიდი და ნაყოფიერი კვლევა-ძიების გამო, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მიმდინარეობს არნ. ჩიქობავას მეთაურობით იბერიულ-კავკასიურ ენათა სფეროში, თბილისის კავკასიოლოგიური სკოლა აღიარებულია იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის მოწინავე ცენტრად როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში. არც ერთ სხვა სამეცნიერო ცენტრში არ წარმოებს ამ ენათა შესწავლა ასეთი ფართო მასშტაბით. აქ კვლევის ობიექტია ოთხივე ჯგუფის ყველა იბერიულ-კავკასიური ენა. ამიტომაც, რომ როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იბერიულ-კავკასიურ ენათა აქტუალურ საკითხებზე ორ წელიწადში ერთხელ რეგიონალური სამეცნიერო სესიების ჩატარების შესახებ, ამ სესიების ორგანიზაცია მიენდო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს არნ. ჩიქობავას თავმჯდომარეობით. ამითვე აიხსნება ის, რომ სსრკ მეცნ. აკად. ლიტ. და ენის განყოფილებისა და საქ. სსრ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით სწორედ თბილისში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან დაარსდა 1974 წ. საკავშირო ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადი“, რომლის მთავარი რედაქტორი ისევ არნ. ჩიქობავაა.

არნ. ჩიქობავას მეცნიერული ძიების მეორე ძირითად მიმართულებას ქმნის ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემატიკა. მან ჯერ კიდევ თავის ადრინდელ შრომებში (1924—1928 წწ.) წარმოადგინა პროგრამული დებულებები ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის ძირითად საკითხებზე.

„მარტივი წინადადების პრობლემის“ გამოსვლამდე რამდენიმე წლით ადრე, 1924 წ. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ჟურნალ „წელიწადი“ში“ გამოქვეყნებულ რედაქტორის წინასიტყვაობასა და წერილში „ზოგადი თვალსაზრისისათვის“ არნ. ჩიქობავა მიუთითებდა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მიღწე-

ვებზე ინდოევროპულ ენათა შესწავლის საქმეში. მას აუცილებლად მიაჩნდა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისთვისაც. ამასთან იმასაც ითვალისწინებდა, რომ ვინაიდან ამ ენათა აგებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება ინდოევროპულ ენათა აგებულებისაგან, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისას უეჭველად დაგვირდება ინდოევროპულ ენათა მასალაზე გამომუშავებული ტერმინოლოგიის გადასინჯვა და საკვლევ ენათა სპეციფიკის შესაბამისი ცნებების შექმნა. მკვლევარი მოითხოვდა გრამატიკის გამიჯვნას ლოგიკა-ფსიქოლოგიისაგან, რაც გასულ საუკუნეში დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ვერ განხორციელდა, განსაკუთრებით სინტაქსში.

შემდგომში არნ. ჩიქობავამ კიდევ უფრო ფართოდ გაშალა ენის თეორიის საკითხთა კვლევა. მის მრავალრიცხოვან ნაშრომებში გაშუქებულია ენათმეცნიერების ისეთი კარდინალური საკითხები, როგორცაა ენის რაობა, ენის მიმართება საზოგადოებასთან, აზროვნებასთან, კულტურასთან; ენობრივი ნიშნის ბუნება; სტრუქტურისა და ფუნქციის საკითხი ენაში; კონვერგენციისა და დივერგენციის პროცესები ენათა განვითარებაში და მათი განმსაზღვრელი საზოგადოებრივი პირობები; აღწერითი (სინქრონიული) და ისტორიული (დიაქრონიული) ენათმეცნიერების ამოცანები და მეთოდები; ენათა ძირითადი კლასიფიკაციები; ენათმეცნიერების დარგობრივი შედგენილობა და დარგების ურთიერთობა; ენათმეცნიერების მიმართება მომიჯნავე მეცნიერებებთან: ლოგიკასთან, ენის ფილოსოფიასთან, ენის ფსიქოლოგიასთან, კიბერნეტიკასთან.

არნ. ჩიქობავამ შექმნა მთლიანი ზოგადლინგვისტური კონცეფცია, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებს ითვალისწინებს. ახალი, თავისებური მასალა ახალ პრობლემებს სვამს ან შესაძლებლობას იძლევა ძველი საკითხების ახლებურად გააზრებისათვის. ამასთანავე მკვლევარი სათანადო ანგარიშს უწევს ენათმეცნიერების ისტორიას, იცავს იმ მონაპოვრებს, რომლებიც საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკამ გაამართლა.

არნ. ჩიქობავას ზოგად ენათმეცნიერული თეორიის ძირითადი დებულებები შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

ენა არის ნიშანთა რთული დინამიკური სისტემა. მას სამი ძირითადი ფუნქცია აქვს: კომუნიკაციური, ექსპრესიული და ობიექტივაციის. ამათგან განმსაზღვრელია პირველი. ენობრივი ნიშანი მასალით ფიზიკურია, დანიშნულებით — სოციალური. ნიშანი პირობით აღნიშნავს საგანს და არ ასახავს მას.

ენობრივი ნიშნის მნიშვნელობა არის არა დესიგნატის ცნება ან წარმოდგენა, არამედ მიმართება აღსანიშნთან. ენობრივი ნიშნები იმყოფება, ერთი მხრივ, სინამდვილის ფაქტებთან მიმართებაში, მეორე მხრივ, ერთმანეთთან მიმართებაში. პირველ შემთხვევაში გვექნება პირველი რიგის მიმართებები, — ლექსიკური მნიშვნელობები, ხოლო, მეორე შემთხვევაში, მეორე რიგის მიმართებები, ე. ი. მიმართებათა შორის მიმართებები, რომლებიც ქმნიან ენის სტრუქტურას. ენაში აუცილებელია ფუნქციურისა და სტრუქტურულის გარჩევა. გაუმართლებელია მათი აღრევა ან დაპირისპირება.

ასევე მიზანშეწონილია „ენისა“ და „მეტყველების“ გარჩევაც, მაგრამ არ არსებობს საფუძველი მათი დაპირისპირებისათვის.

ენათმეცნიერება ჰუმანიტარული მეცნიერებაა. მისი ამოცანაა შეისწავლოს ენა აზროვნებასთან და კულტურის ისტორიასთან კავშირში.

თეორიული ენათმეცნიერება ენის ფილოსოფიისაგან განსხვავებით ემპირიულ მეცნიერებას წარმოადგენს. იგი ემყარება კონკრეტულ ენათა კვლევა-ძიების შედეგებს და ემსახურება ამ კვლევა-ძიების პროგრესს.

ენათმეცნიერება თავისთავადი მეცნიერებაა. მას საკუთარი ობიექტი და საკუთარი თვალსაზრისი აქვს. ენათმეცნიერების როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ინტერესებთან შეუთავსებელია ფსიქოლოგიზმი, ლოგიციზმი, ესთეტიზმი...

ენათმეცნიერება წარმოადგენს ინტეგრალურ მეცნიერებას ენის შესახებ. იგი ორგანულად აერთებს იმას, რაც თანამედროვე საენათმეცნიერო თეორიებში გათიშულია და ერთმანეთს დაპირისპირებული. კერძოდ, იგი ითვალისწინებს ენის სამივე ფუნქციას, როგორც კომუნიკაციურს, ისე ექსპრესიულსა და ობიექტივაციისას. ასევე ის შეისწავლის ენას როგორც აღწერითი, სინქრონიული, ისე ისტორიული, დიაქრონიული თვალსაზრისით. ამასთან ენათმეცნიერება იკვლევს ენობრივ ერთეულთა სტრუქტურასაც და ფუნქციუბსაც. ორივე შემთხვევაში გამოიყენება ჰომოგენურობის პრინციპი: ფუნქციური ცნებები ფუნქციური ნიშნების მიხედვით აიგება, სტრუქტურული ცნებები — სტრუქტურული ნიშნების მიხედვით.

ვინც თეორიული ენათმეცნიერების განვითარებას ადევნებს თვალს, მისთვის ნათელია ზემომოყვანილი კონცეფციის დამოუკიდებლობა და შინაგანი მთლიანობა. ავტორი აშუქებს ზოგადი ლინგვისტიკის ფუნდამენტურ პრობლემებს, რომლებიც XX ს. ენათმეცნიერების ყურადღების ცენტრშია. მის მრავალრიცხოვან გამო-

კვლევებში ზოგადი ენათმეცნიერების ძირითად საკითხებზე ჩანს მეცნიერის დიდი შემოქმედებითი ტალანტი, სინთეზური აზროვნების მაღალი დონე. განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ მისი მსჯელობა ამ საკითხებზე თავიდანვე თავისუფალი იყო იმ ცალმხრივობისა და წინააღმდეგობათაგან, რომლებიც ბევრ ახალ მიმდინარეობას ახასიათებდა. ამასთან მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა მან უფრო ადრე დასვა და გააშუქა, ვიდრე დღეს სახელმძღვანელოში ლინგვისტიკაში სკოლებმა. მაგ., ენის სტრუქტურის შესწავლის აუცილებლობაზე არნ. ჩიქობავა ყურადღებას ამახვილებდა ჯერ კიდევ ოციათი წლების დასაწყისში, როდესაც ყველა ძირითადი სტრუქტურალისტური სკოლა არც კი იყო ჩამოყალიბებული. ამავდროს სტრუქტურის მნიშვნელობის აღიარებას არ გამოუწვევია ენის ფუნქციონალური მხარის უგულებელყოფა, როგორც ეს შემდგომში სტრუქტურალისტურ სკოლებში მოხდა. არც ენის აღწერის პრობლემებით დაინტერესებას მოჰყოლია ისტორიზმის პრინციპის დაჩრდილვა, რაც სოსიურის შემდეგ ფართოდ გავრცელდა ენათმეცნიერებაში. სოსიურისა და მისი მიმდევრებისაგან განსხვავებით არნ. ჩიქობავამ არც ენის ლინგვისტიკისა და მეტყველების ლინგვისტიკის დაპირისპირება მიიჩნია გამართლებულად.

სანიმუშოა არნ. ჩიქობავას დაშოკიდებულება სხვა საენათმეცნიერო მიმდინარეობებთან. თავის გამოკვლევებში მეცნიერი იძლევა ენათმეცნიერებს ამა თუ იმ თეორიის ღრმა კრიტიკულ ანალიზს იმის დასაბუთებით, თუ რა არის მასში ფასეული და რა მიუღებელი ან სადავო. მას არ სჩვევია ცალმხრივობა, მიკერძოება. ყველაფერს, რაც ხელს უწყობს ენათა შესწავლის წინსვლას, არნ. ჩიქობავა დადებითად აფასებს, მაგრამ არც იმას უვლის გვერდს, რაც ენათმეცნიერების ინტერესებით გაუმართლებელია.

20—40-იან წლებში, როდესაც ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ ცხადდებოდა მარქსისტულ, მატერიალისტურ თეორიად, არნ. ჩიქობავა მისთვის დამახასიათებელი უკომპრომისო პრინციპულობით ილაშქრებდა ამ შეხედულების წინააღმდეგ და ასაბუთებდა, რომ სინამდვილეში ესაა ვულგარულ-მატერიალისტური თეორია, რომელიც ხელს უშლის ენათმეცნიერების პროგრესს ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ არნ. ჩიქობავას ვრცელი სტატიით გაიხსნა 1950 წ. გაზეთ „ჭრავდაში“ საენათმეცნიერო დისკუსია, რომლის შედეგად აღიკვეთა „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ ბატონობა.

არნ. ჩიქობავას დიდი დამსახურება ზოგადი ენათმეცნიერების წინაშე აღიარებულია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მისი ბევრი გამოკვლევა გამოქვეყნებულია რუსულად, არაერთი შრომა კი — სხვადასხვა ევროპულ ენაზე. გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერის მოხსენებები და გამოსვლები საკავშირო და საერთაშორისო კონგრესებზე, კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე მუდამ იწვევს სპეციალისტთა განსაკუთრებულ ინტერესს.

არნ. ჩიქობავა ბევრ დროსა და ენერგიას ახმარს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. იგი მეცნიერისა და მოქალაქის საუკეთესო თვისებებს უნერგავს სტუდენტებსა თუ ასპირანტებს. იგი მომთხოვნია და მკაცრი, ამასთან უაღრესად გულისხმიერი. დღეს მისი ხელმძღვანელობით აღზრდილი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები წარმატებით მუშაობენ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში — არა მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის გარეთაც: დაღესტანში, ჩაჩნეთ-ინგუშეთში ადიღეში ყაბარდო-ბალყარეთში, მოსკოვსა თუ ლენინგრადში. მასთან საკონსულტაციოდ არაერთი უცხოელი ენათმეცნიერი ჩამოდის.

არნ. ჩიქობავა თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა და ამჟამადაც კითხულობს ისეთ ძირითად კურსებს, როგორცაა „ენათმეცნიერების ისტორია და მეთოდოლოგია“, „ენათმეცნიერების შესავალი“, „ზოგადი ენათმეცნიერება“, „ქართული ენა“, „ზანური ენა“, „ხუნძური ენა“, „იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შესავალი“, „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“. ეს კურსები თვითონ ჩამოაყალიბა იმ კვლევა-ძიების შედეგად, რაც მას იბერიულ-კავკასიურ და ზოგად ენათმეცნიერებაში უწარმოებია წლების მანძილზე. წაკითხულ კურსებში არნ. ჩიქობავამ შექმნა ორიგინალური, სრულფასოვანი სახელმძღვანელოები უნივერსიტეტის სტუდენტთათვის. ესაა: „ხუნძური ენა“ (ილ. ცერცვაძის თანაავტორობით, 1962); „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ (1965), „ზოგადი ენათმეცნიერება. I. პრობლემეტიკული ნაწილი“ (1935, 1939, 1946), „ზოგადი ენათმეცნიერება. II. ძირითადი პრობლემები“ (1945). „ენათმეცნიერების შესავალი“ (1952). 40 წელზე მეტია, რაც არნ. ჩიქობავას ზოგადი ენათმეცნიერების სახელმძღვანელოებზე იზრდება ქართველ ენათმეცნიერთა თაობები. რუსულად გამოქვეყნდა „ენათმეცნიერების შესავალი, I“ (I გამოც.—1952 წ., II გამოც.—1953 წ.) და „ენის, როგორც ენათმეცნიერების საგნის პრობლემა“ (1959), „ენათმეც-

ნიერების შესავალი“ თარგმნილია ჩეხურ, ბულგარულ, ჩინურ, პოლონურ ენებზე.

არნ. ჩიქობავა დიდ ყურადღებას უთმობს ენობრივი მშენებლობის საკითხებს. იგი იღვწის ქართული მეტყველების კულტურის ამალღებისათვის; მონაწილეობს სასკოლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენასა და რედაქტირებაში; აქვეყნებს წერილებს სკოლის მასწავლებელთა დასახმარებლად ქართული ენის აგებულების რთულ საკითხებზე.

დიდი ამაგი დასდო მკვლევარმა ქართული ენის ნორმათა მოწესრიგებისა და უნიფიკაციის საქმეს. მან შეიმუშავა ქართული ენის ნორმათა დადგენის მეცნიერული პრინციპები და გაარკვია არაერთი სადავო საკითხი. მისი მონაწილეობით მომზადდა რამდენიმე ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

ძნელია სრულად აღვრიცხოთ არნ. ჩიქობავას ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ქართული ენის რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონის გამოცემას. არნ. ჩიქობავა ამ ლექსიკონის მთავარი რედაქტორი, აგრეთვე I და IV ტომების რედაქტორია. აი, რას წერს იგი უკანასკნელი ტომის წინასიტყვაობაში: „ლექსიკონი „ხალხის პირველ წიგნად თქმულა“... ისევე როგორც „დედა-ენა“ ბავშვის პირველ წიგნს წარმოადგენს. ჩვენ ნოვეპოვება მდიდარი მრავალსაუკუნოვანი მწერლობა, გვაქვს ეროვნული უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია; უხერხული იქნებოდა, ვრცელი განმარტებითი ლექსიკონი არა გვექონოდა“.

და მართლაც, დღეს გვაქვს ქართული ენის მდიდარი ლექსიკონის ამსახველი რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონი. და თუ ეს ლექსიკონი გვაქვს, ეს, უპირველეს ყოვლისა, არნ. ჩიქობავას დაუშრეტელი ენერჯის, თავდაუზოგავი შრომისა და დიდი ორგანიზატორული უნარის შედეგია. ამ დიდი ეროვნული საქმის წარმატებით დამთავრებისათვის მას მოუხდა ხანგრძლივი დროით გადაედო არაერთი დაწყებული მონოგრაფია, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეტანა თავის წმინდა სამეცნიერო გეგმებში. არნ. ჩიქობავამ შეიმუშავა ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ქართულ ლექსიკოლოგთა კვალიფიციური კადრები. ლექსიკონმა, როგორც ხალხის კულტურის დონის ამსახველმა დოკუმენტმა, სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა ჩვენშიაც, უცხოეთშიაც. მშვენივრად თქვა ცნობილმა ნორვეგიელმა ენათმეცნიერმა, ქართველოლოგმა ჰანს ფოგტმა: „ეს ლექსიკონი დაიჭერს ღირსეულ ადგილს ჩვენი დროის ერთენოვან ლექსიკონებს შორის.“

ეს არის ძველი, აღმართული ენისა და მისი ძველი ათასხუთასწლო-  
ვანი ლიტერატურის სადიდებლად და საამაყო მათთვის, ვინც ჩაი-  
ფიქრა ეს სასიქადულო საქმე და ვინც განახორციელა იგი“. სწო-  
რედ განმარტებითი ლექსიკონის შექმნისათვის მიენიჭა ქართველ  
ენათმეცნიერთა ჯგუფს არნ. ჩიქობავას მეთაურობით საქართველოს  
სსრ სახელმწიფო პრემია.

არნ. ჩიქობავა დღესაც ჩვეული წარმატებით მუშაობს იბერი-  
ულ-კავკასიურ და ზოგად ენათმეცნიერებაში, ერთგულად ემსახუ-  
რება ქართულ კულტურას.

თ ი ნ ა თ ი ნ   შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე

---

## А. С. ЧИКОБАВА

(Краткий обзор научной и общественной деятельности)

Арнольд Степанович Чикобава принадлежит к числу тех выдающихся ученых, которые своими исследованиями и деятельностью создали большой авторитет грузинской науке как в СССР, так и за его пределами.

Многосторонни научные и общественные интересы А. С. Чикобава: он исследует грузинский язык, картвельские языки, горские иберийско-кавказские языки, проблемы общего языкознания; ведет интенсивную педагогическо-воспитательную работу; руководит основанной им Тбилисской кавказоведческой школой; является организатором и вдохновителем многих важных начинаний в языкознании и смежных гуманитарных науках.

О масштабах деятельности А. С. Чикобава представление дает хотя бы простой перечень выполненных им за 1977 г. крупных работ: им был завершен капитальный труд «Введение в изучение иберийско-кавказских языков»; был зачитан один из основных докладов на всесоюзном симпозиуме, организованном Научным советом по теории советского языкознания совместно с Институтами языкознания АН СССР и АН Грузинской ССР по проблеме значения в современной лингвистике; особое внимание специалистов привлекли его доклад и выступления на VII региональной сессии по историко-сравнительному изучению иберийско-кавказских языков в г. Сухуми. Будучи председателем оргкомитета, А. С. Чикобава много энергии потратил на подготовку и про-

ведение этой региональной сессии на должном уровне. Еще больше времени и внимания потребовало издание «Ежегодника», всесоюзного органа по иберийско-кавказскому языкознанию, главным редактором которого он является.

В 1978 г. был опубликован V том «Ежегодника» и сдан в набор VI том. Кроме всего вышесказанного, А. С. Чикобава выступил с докладами по основным вопросам иберийско-кавказского языкознания на научной сессии Института языкознания АН Грузинской ССР и на открытом заседании научного совета филологического факультета Тбилисского университета... Без сомнения, он и в будущем будет обогащать сокровищницу иберийско-кавказского и общего языкознания ценными исследованиями.

Арнольд Степанович Чикобава родился в 1898 г. в селе Сачикобао Цхакаевского района (бывшего Сенакского уезда Кутаисской губернии) Грузии в семье бедняка-крестьянина. Начальное образование получил в двухклассном училище в Дзвели Сенаки. В 1911 г. был принят в грузинскую гимназию г. Кутаиси. Начиная с 14 лет, он был вынужден заниматься с отстающими учениками, чтобы заработать на жизнь и платить за учение. Лишь после окончания занятий с учениками находил он время для подготовки собственных уроков. И все же окончил гимназию в 1917 г. отличником.

В 1918 г., когда по инициативе крупнейшего грузинского ученого и деятеля культуры И. А. Джавахишвили был основан Тбилисский университет, на лингвистическое отделение философского факультета были зачислены всего четыре слушателя, из которых в 1922 г. университет окончили двое, — ставшие впоследствии известными языковедами, — А. С. Чикобава и В. Т. Топуриа. Это был первый выпуск университета.

В университете А. С. Чикобава с увлечением изучал лингвистические дисциплины: грузинский, сванский, мегрело-чанский языки, общее языкознание. Его учителями были профессора И. А. Кипшидзе, А. Г. Шанидзе, Г. С. Ахвледиани. Кроме того, он систематически и серьезно занимался и по смежным наукам: слушал историю Грузии у проф. И. А. Джавахишвили, историю грузинской литературы у проф.

К. С. Кекелидзе. Особенный интерес проявлял к философии и психологии. Соответствующие курсы ему читали проф. Ш. И. Нуцубидзе и проф. Д. Н. Узнадзе.

После окончания университета А. С. Чикобава по представлению проф. А. Г. Шанидзе был оставлен для подготовки к профессорскому званию. Он первый из окончивших Тбилисский университет защитил докторскую диссертацию в 1929 г. На защиту им было представлено исследование «Проблема простого предложения в грузинском языке, I»; опубликованное в 1928 г. Это исследование явилось блестящей иллюстрацией того, что основанный незадолго до этого Тбилисский университет имеет полную возможность воспитывать высококвалифицированных специалистов, могущих внести свой вклад в развитие науки.

«Проблема простого предложения» состоит из двух частей. В первой части излагается общая концепция автора не только по вопросам синтаксиса, но вообще по принципиальным вопросам описания языка. А. С. Чикобава защищает методологический имманентизм, требуя при описании охарактеризовать языковые факты по языковым признакам без использования в качестве мерила логических и психологических понятий, как то свойственно методологическому трансцендентизму. Трансцендентизм ведет в языкознании к логицизму и психологизму, создающим опасность самостоятельности языкознания. В работе значительное место занимают суждения о структуре и функциях в языке. Автор считает необходимым изучение обеих сторон. Специально рассматривается вопрос взаимоотношения описательного и исторического языкознания. За описанием должно последовать объяснение, требующее учета истории языкового факта.

Все перечисленные вопросы весьма актуальны в современном языкознании. А. С. Чикобава поставил и оригинально решил эти проблемы раньше, чем многие из широкопризнанных ныне школ западной лингвистики.

Вторая часть «Проблемы простого предложения» посвящена синтаксису грузинского языка. Согласно исходному принципу, структуру любого языка следует изучать с максимальным учетом его особенностей. А структура грузинс-

кого языка значительно отличается от структуры индоевропейских языков. Поэтому неоправдано механическое перенесение в грамматику грузинского языка понятий, выработанных при изучении индоевропейских языков. В частности, взаимоотношения между членами синтагмы, вследствие многоличности глагола, в грузинском намного сложнее, чем в индоевропейских языках. Наблюдается не односторонняя зависимость (управление и согласование), как то имеет место в индоевропейском, а обоюдное управление. Исследователь предлагает новый, весьма ценный анализ простого предложения грузинского языка, для чего ему приходится создать новую систему синтаксических понятий (координация, основная, большая, малая, наименьшая координаты).

В 1968 г. вышло второе издание «Проблемы простого предложения», давно ставшей библиографической редкостью. По прошествии сорока лет после первого издания монография не только не потеряла своей ценности, но более того, ныне созданы лучшие условия для ее надлежащей оценки. На фоне тенденций, проявившихся в международной лингвистике, ее достоинства стали ощутимее.

Каждый шаг А. С. Чикобава в науке связан с Тбилиским государственным университетом и Академией наук Грузинской ССР, в первом составе которой он был утвержден в 1941 г. В новооткрытых научных учреждениях Грузии он сумел благодаря большому таланту, широкой эрудиции, неисчерпаемой энергии и безграничной трудоспособности достичь самых высоких ступеней современной науки. Его исследования известны и по достоинству оценены не только в СССР, но и за рубежом.

Грузинский университет воспитал А. С. Чикобава как исследователя. Ныне он сам является гордостью своего alma mater и входит в плеяду всемирно признанных ученых, которых чтит наша страна.

А. С. Чикобава автор более 300 печатных научных трудов, из которых отдельной книгой издано — 14.

А. С. Чикобава имеет правительственные награды: три ордена Ленина, орден Трудового Красного Знамени, орден «Знак Почета», медали, грамоты. В 1951—1966 гг. он из-

бирался депутатом Верховного Совета Грузинской ССР III, IV, V и VI созывов.

С 1946 г. А. С. Чикобава заслуженный деятель науки Грузинской ССР, с 1968 г. заслуженный деятель науки Дагестанской АССР и заслуженный деятель науки Кабардино-Балкарской АССР.

В 1951 г. А. С. Чикобава была присуждена премия им. Ломоносова Московского университета, в 1971 г. — государственная премия Грузинской ССР. В 1973 г. он был награжден медалью им. И. А. Джавахишвили. В 1960 г. философским факультетом Берлинского университета ему была присуждена ученая степень почетного доктора Берлинского университета, а в 1968 г. он был избран почетным членом Общества филологов Великобритании.

Научные исследования А. С. Чикобава с самого начала велись в двух основных направлениях: с одной стороны, им изучались и анализировались конкретные языки, а с другой — разрабатывалась проблематика общего языкознания.

Свои научные изыскания он начал с грузинского языка: и по сей день грузинский язык стоит в центре внимания ученого. Он посвятил целый ряд исследований древнему и современному грузинскому языку, основным вопросам его морфологии, синтаксиса, семасиологии и лексикологии, фонетики, изучаемых как в синхронном, так и в диахронном плане.

Образцовое описание современного грузинского языка дано в нескольких трудах, опубликованных на грузинском и русском языках.

Вслед за исследованием структуры простого предложения древнегрузинского языка последовало изучение тенденций эволюции, проявившихся в последующем периоде. Существенное значение имеет серия исследований из истории спряжения и склонения в грузинском языке. Значительные результаты достигнуты при изучении ферейданского, мтикульского, гаре-кахетинского диалектов грузинского языка.

В исследовании «Вопросы исторической диалектологии: по показанию памятников древнегрузинского языка» (1966) на основе данных грузинского языка представлены исходные принципы и задачи исторической диалектологии.

Несколько исследований было посвящено бессмертной поэме великого Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре».

Кроме грузинского языка ученый исследует близкородственные ему мегрело-чанский, или занский и сванский языки, составляющие совместно с грузинским группу картвельских языков. В своих исследованиях А. С. Чикобава значительно продвинул вперед и углубил историко-сравнительное изучение картвельских языков.

В монографии «Грамматический анализ чанского (лазского) диалекта» (1936) им было установлено, что мегрельский и чанский составляют не два самостоятельных языка, как было принято считать до этого, а два диалекта одного языка. Их фонетическая система, морфологическая и синтаксическая структура не противопоставлены друг другу, вместе с тем оба проявляют одни и те же соответствия с грузинским языком. Язык, диалектами которого являются мегрельский и чанский, автор условно назвал занским языком.

«Чанско-мегрельско-грузинский сравнительный словарь», опубликованный в 1938 г., представляет собой первый сравнительный словарь картвельских языков. В этой настольной книге картвелологов вместе с лексикой чанско-мегрельского и грузинского языков учитывается и лексика сванского языка.

Исследования по картвельским языкам охватывают типы склонения, генезис падежных показателей существительных, переходность, залог, образование времен глаголов, этимологии слов и другие узловыe вопросы грамматики и лексики языков данной группы.

С точки зрения исторического изучения структуры картвельских языков особое значение имеет монография «Древнейшая структура именных основ в картвельских языках» (1942), в которой автор восстановил первичную модель именных основ картвельских языков, установив, что именная основа в названных языках состояла из префикса грамматического класса, корневого согласного и суффикса-детерминанта. После того, как категория грамматического класса вышла из употребления, соответствующие аффиксы не ис-

чезли бесследно; в определенных случаях они срослись с основами или сохранились с измененной функцией.

В ряде трудов А. С. Чикобава подытожил достижения историко-сравнительного исследования картвельских языков и реконструировал структурно-типологическую и историко-генетическую модель этих языков.

А. С. Чикобава не ограничивался исследованием грузинского и других картвельских языков. Глубокий научный анализ этих языков требовал выхода за их пределы, их изучения в более широком контексте родственных языков. Вопрос о родстве грузинского и вообще картвельских языков с другими языками мира был поставлен еще в прошлом веке. М. Броссе и Ф. Бопп увязывали их с индоевропейскими языками, М. Мюллер — с урало-алтайскими языками, а Н. Я. Марр (в раннем периоде) — с семитическими языками. Все эти гипотезы оказались необоснованными.

В 1864 г. Фр. Мюллером было высказано предположение, что картвельские и горские кавказские языки (в частности, абхазско-адыгские, чечено-ингушские (нахские) и дагестанские языки) составляют семью родственных языков (названную впоследствии иберийско-кавказской семьей языков). При этом они представляют остатки широко распространенной некогда генетической группы языков, к которой относились языки древнейшей культуры Передней Азии и Средиземноморья, а из живых языков — баскский. Эта большая семья, по-видимому, была распространена на Кавказе и южнее еще до появления здесь индоевропейских, семитских и урало-алтайских языков. Впоследствии не один из западноевропейских и русских языковедов пришел к гипотезе, что местные языки Кавказа генетически связаны между собой, что кавказские языки находятся в более отдаленном родстве, с одной стороны, с баскским, а с другой, с ныне мертвыми языками Передней Азии и Средиземноморья, не родственными ни с индоевропейскими, ни с семитскими языками.

Обоснование этой гипотезы, естественно, должно было стать одной из основных задач грузинских языковедов. И. А. Джавахишвили, который прекрасно понимал культурно-историческое значение данной проблемы и сам занимался ее ре-

шением, признавал долгом грузинских языковедов научное изучение природы картвельских и кавказских языков и их родства с другими языками, поскольку эти лингвистические вопросы касаются непосредственно нас и вместе с тем у нас в большом количестве имеются первостепенные материалы для их решения.

А. С. Чикобава взял на себя исследование вышеназванных лингвистических проблем и организацию подобных исследований в широком плане в нашей республике. В первую очередь было необходимо основательное изучение языков, которые предполагались родственными картвельским языкам. Количество горских кавказских языков превышает три десятка. Следовало подготовить специалистов этих языков. По инициативе и под руководством А. С. Чикобава в 1933 г. в ТГУ была основана кафедра кавказских языков, а в 1936 г. в Институте языка, истории и материальной культуры (от которого в 1941 г. отпочковался Институт языкознания АН Грузинской ССР) — отдел горских кавказских языков. В 1933—1934 учебном году при филологическом факультете ТГУ было создано отделение кавказских языков, подготовляющее специалистов кавказских языков.

Как на кафедре, так и в отделе исследование иберийско-кавказских языков велось по единому плану. Первоочередной задачей было признано научное описание систем отдельных кавказских языков. На второй ступени следовало приступить к историко-сравнительному исследованию языков отдельных групп, а на третьей — к систематическому сравнению иберийско-кавказских языков разных групп.

К сегодняшнему дню опубликовано несколько сотен трудов (в том числе десятки монографий) по вопросам фонетических систем, грамматического строя, лексики иберийско-кавказских языков. Ряд исследований был посвящен изучению взаимоотношений языков отдельных групп, установлению фонетических соответствий между ними. Выявлены отдельные звукосоответствия или материальные совпадения внутри групп иберийско-кавказских языков, а иногда и между группами. Таким образом подготовлена почва для сос-

тавления историко-сравнительных грамматик и историко-этимологических словарей языков отдельных групп.

Эта трудоемкая работа была выполнена А. С. Чикобава и специалистами, воспитанными под его руководством. Своими основополагающими трудами А. С. Чикобава поднял до уровня современного языкознания изучение иберийско-кавказских языков и проложил путь последующим поколениям специалистов для успешной работы в этой области. А. С. Чикобава исследует вопросы структуры, истории и генетических отношений иберийско-кавказских языков. В продолжение ряда лет в центре его внимания стоит эргативный строй предложения, своеобразная синтаксическая конструкция, характерная для иберийско-кавказских языков. Данной проблеме ученый посвятил несколько исследований, в том числе две монографии. Не меньший интерес вызывают грамматические классы, свойственные большинству иберийско-кавказских языков. В некоторых языках в том числе и в картвельских, категория класса ныне отсутствует, но было установлено, что в прошлом она была присуща и этим языкам. Учет истории эргативной конструкции и грамматических классов дал возможность исследователю осветить узловые вопросы спряжения глагола и склонения имени в иберийско-кавказских языках.

В нескольких трудах, опубликованных на грузинском, русском и немецком языках, обобщены результаты, полученные в области исследования иберийско-кавказских языков.

Глубокий научный анализ иберийско-кавказских языков более убедительно выявил изначальное родство картвельских и горских кавказских языков. Вопрос в принципе решается положительно на том основании, что нынешние различия между этими языками оказываются вторичными, а родственные черты — первичными. Изучение этой проблемы должно завершиться составлением сравнительной грамматики и историко-этимологического словаря всех иберийско-кавказских языков.

Историко-сравнительное изучение иберийско-кавказских языков, со своей стороны, готовит почву для решения вопроса о генетической связи этих языков с мертвыми языками

Передней Азии и Средиземноморья, а также с живым баскским языком.

